

შფოთვის, კოლექტიური ნარცისიზმისა და აღქმული სუბიექტური მარტოობის კავშირი შეთქმულებების თეორიების ზოგად რწმენასთან¹

ლიზა ჩხარტიშვილი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ბაკალავრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

The Relationship Between Anxiety, Collective Narcissism, and Perceived Subjective Loneliness and Generic Belief in Conspiracy Theories

Liza Chkhartishvili

Bachelor of the Faculty Psychology and Education, Ivane Javakhishvili Tbilisi State University



¹ „ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ოფიციალური ელექტრონული სტუდენტური ჟურნალია.

აბსტრაქტი

მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენს იმის შესწავლის მცდელობა, თუ რა გავლენას ახდენს კოლექტიური ნარცისიზმი, სუბიექტური მარტოობის აღქმა და შფოთვა შეთქმულებების თეორიების ზოგადი რწმენის არსებობაზე. არსებულ თეორიებსა და მანამდე ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით ნავარაუდები იყო, რომ კოლექტიური ნარცისიზმი, ერთი მხრივ, დაკავშირებული იქნებოდა შეთქმულებების თეორიების რწმენასთან, მეორე მხრივ კი, ნეგატიურად მიემართებოდა მარტოობასა და მისგან გამოწვეულ შფოთვას. ამ ჰიპოთეზების შესამოწმებლად ჩატარდა გამოკითხვა თვითადმინისტრირებადი კითხვარის საშუალებით, რომელიც 316 რესპონდენტმა შეავსო. კითხვარში გამოყენებულ იქნა შეთქმულებების თეორიების ზოგადი რწმენის საზომი ინსტრუმენტი, რომელიც მსოფლიოში გავრცელებულ რამდენიმე ძირითად შეთქმულების თეორიას ეხება. შედეგებმა აჩვენა, რომ კოლექტიური ნარცისიზმი შეთქმულებების თეორიების მიმართ რწმენის საუკეთესო მაჩვენებელია, აღქმულ სუბიექტურ მარტოობასაც შეუძლია ამ რწმენის წინასწარმეტყველება, თუმცა ძალიან მცირე, თითქმის უმნიშვნელო წილით, ხოლო შფოთვა საერთოდ ვერ წინასწარმეტყველებდა რესპონდენტის შეთქმულებების თეორიების მიმართ რწმენას. ამასთან, შედეგებმა აჩვენა, რომ კოლექტიური ნარცისიზმი, თავის მხრივ, სუბიექტური მარტოობის დაძლევის ერთგვარ მექანიზმად გვევლინება. როგორც ჩანს, შეთქმულებების თეორიების რწმენის შესწავლისას მნიშვნელოვანია ადამიანებში აღქმული მარტოობის შეფასება და იმ ფაქტორებზე დაკვირვება, რომლებიც პოტენციურად სუბიექტურ მარტოობასთან გასამკლავებლად შეიძლება გამოიყენებოდეს.

საკვანძო ცნებები: შეთქმულებების თეორიების ზოგადი რწმენა, აღქმული სუბიექტური მარტოობა, კოლექტიური ნარცისიზმი, შფოთვა, ეკლესიურობა.

Abstract

The primary objective of this study is to investigate the impact of collective narcissism, subjective loneliness, and anxiety on the generic belief in conspiracy theories. Drawing upon existing theories and previous research, we formulated the hypothesis that collective narcissism would correlate with belief in conspiracy theories, and further posited that collective narcissism would inversely correlate with loneliness and loneliness-related anxiety. To assess these hypotheses, we conducted a self-administered questionnaire survey, which garnered responses from 316 participants. The questionnaire utilized a metric to gauge general belief in conspiracy theories, encompassing prominent conspiracy theories worldwide. The findings revealed that collective narcissism emerged as the most robust predictor of belief in conspiracy theories. Furthermore, subjective loneliness exhibited a predictive relationship with this belief, albeit with a marginal and nearly negligible impact. Conversely, anxiety did not demonstrate any significant predictive power concerning respondents' belief in conspiracy theories. Additionally, the results suggested that collective narcissism functions as a mechanism for mitigating subjective loneliness. In light of these findings, it is imperative to consider individuals' perceived loneliness when investigating belief in conspiracy theories. Moreover, the results underscore the importance of identifying factors that could potentially address subjective loneliness in the context of studying belief in conspiracy theories.

Keywords: *generic belief in conspiracy theories, perceived subjective loneliness, collective narcissism, anxiety, religion.*

შესავალი

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, ბევრმა მკვლევარმა სისტემურად დაიწყო შეთქმულების რწმენის, მისი სხვადასხვა ფსიქოლოგიურ კონსტრუქტთან ასოციაციების, პრედიკატების და ამხსნელი მექანიზმების შესწავლა. შეთქმულება არის „ორი ან მეტი ძლევამოსილი პირის მიერ შეთხზული იდეალური ამბავი... შეთქმულებების თეორიები, როგორც წესი, გულისხმობენ პოლიტიკური ან ეკონომიკური ძალაუფლების უზურპაციას, უფლებების შელახვას, ნორმების რღვევას, სასიცოცხლო მნიშვნელობის საიდუმლოების დამალვას ან ძირითადი ინსტიტუტების რყევას“ (Douglas et al., 2019). ზოგიერთ ადამიანს შეთქმულების თეორიების სჯერა მაშინაც კი, როდესაც ხელმისაწვდომი ალტერნატიული ახსნა არსებობს.

შეთქმულების თეორიები იძლევა მარტივ პასუხებს პასუხგაუცემელ კითხვებზე და გამოყოფს ინდივიდებს ან ჯგუფებს, რომლებიც შეგვიძლია, დავადანაშაულოთ ამაში (Goertzel, 1994), ეს გვეხმარება ნეგატიური მოვლენების ახსნაში (Dillinger, 2004; Kofta and Sedek, 2005), საშუალებას გვაძლევს ადამიანებს, შევინარჩუნოთ უსაფრთხოებისა და პროგნოზირებადობის განცდა (Bale, 2007; Leman, 2007). შეთქმულების თეორიები გვეხმარება, მოვემზადოთ კოლექტიური თავდაცვისთვის სხვა ჯგუფებისგან მომავალი სავარაუდო საფრთხეებისგან (Kofta and Sedek, 2005).

შეთქმულებების თეორიების კვლევა საჭირო გახდა, რადგან უფრო ცხადი გახდა ის ნეგატიური მხარეები და შესაძლო საფრთხეები, რაც ზოგიერთმა შეთქმულების თეორიამ შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოებაში (Douglas & Sutton, 2018), (Douglas et al., 2019) – პოლიტიკური გულგრილობა (Butler et al., 1995) ან ძალადობის ზრდა (Sunstein & Vermeule, 2009), პროსოციალური ქცევის ტენდენციის შემცირება (Van Der Linden, 2015) და სხვა. შეთქმულების თეორიების პოტენციური საფრთხეებით მეცნიერები განსაკუთრებით COVID-19-ის პანდემიის დროს დაინტერესდნენ, ამ დროს გავრცელებული შეთქმულებების სიმრავლისა და პოტენციური საფრთხეების გამო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ამ პრობლემას „ინფოდემია“ უწოდა (Zarocostas, 2020). ის, რაც შეთქმულების თეორიებს არაჩვეულებრივს ხდის, არ არის მხოლოდ მათი შინაარსები და ინოვიციურობა, არამედ ეს არის მათი უნარი, გარდაქმნან ჩვეულებრივი მოვლენები არაჩვეულებრივ ამბებად, რომლებსაც შეუძლიათ ყოველგვარი ლოგიკისა და რაციონალობის გარეშე მიიზიდონ ინდივიდები. ამის დასტური მედიის მიერ ისეთი თემების გაშუქების მასშტაბია, როგორცაა, COVID-19 პანდემიის წარმოშობა (Rincon, 2020), QAnon²-თან

² იგულისხმება შეთქმულების თეორიების მოძრაობა, რომელიც ინტერნეტფორუმებზე წარმოიშვა, მაგალითად 4chan და 8chan-ზე. მოძრაობა ეყრდნობა ანონიმურ ფიგურას სახელად "Q", რომელსაც თეორიის თანახმად, თითქოსდა, აქვს Q დონის უსაფრთხოების დაშვება (ეს არის მაღალი დონის დაშვება აშშ-ს მთავრობის წრებში). QAnon-ის მიმდევრები ფიქრობენ, რომ არსებობს გლობალური შეთქმულება, რომლის მონაწილეები არიან გავლენიანი პოლიტიკოსები, ბიზნესმენები და სხვა

დაკავშირებული ისტორიები (Cassin & Wendling, 2018), 5G ტექნოლოგიის სავარაუდო საფრთხეები ჯანმრთელობისთვის (Waterson & Hern, 2020) ან აშშ-ის მთავრობის როლი 9/11 ტერაქტში (Bell, 2018). თუმცა აღსანიშნავია, გარკვეული შეთქმულების თეორიები შეიძლება იყოს უვნებელიც (Clarke, 2002) ან მათ შეიძლება, ჰქონდეს დადებითი შედეგებიც, მაგალითად, ანომალიების გამოვლენა ან პოლიტიკოსების საქმიანობის გამჭვირვალობის ზრდა (Jolley & Douglas, 2014)

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, დამოუკიდებლად კარგად შესწავლილ რამდენიმე კონსტრუქტსა და შეთქმულებების თეორიებს შორის კავშირის შესწავლა. კერძოდ, სტატიაში ნაცადია იმის დადგენა, თუ როგორაა დაკავშირებული სუბიექტური მარტოობის განცდა, კოლექტიური ნარცისიზმი და შფოთვა შეთქმულებების თეორიების ზოგად რწმენასთან.

სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილავენ შეთქმულებების თეორიებისადმი რწმენის 3 ძირითად მოტივს, რომლებიცაა ეპისტემოლოგიური, ეგზისტენციალური და სოციალური მოტივები. ეპისტემოლოგიურ მოტივებში იგულისხმება, რომ სხვადასხვა კვლევა გარემოს სხვადასხვა ფაქტორს უკავშირებს ინდივიდებში შეთქმულებების თეორიების რწმენას, მაგალითად, ზოგჯერ ეს რწმენა კოგნიტური და ანალიტიკური უნარების ნაკლებობას უკავშირდება, ზოგჯერ ნაკლებ განათლებას, ზოგჯერ თავად შეთქმულებების თეორიების გავრცელებაში ჩართვას და ა. შ. ეგზისტენციალური მოტივები უფრო ინდივიდუალურ ფაქტორებს ეხება, განსაკუთრებით სიცხადის მოთხოვნილებას, ავტონომიურობის განცდას, შფოთვის მაღალ დონეს და ა. შ. ხოლო სოციალურ მოტივებში ავტორები ჯგუფთან მიკუთვნებულობის, მოწყვლადი ჯგუფების მხრიდან ჯგუფის დაცვის მოთხოვნილებას, სისტემის გამართლების, სახელმწიფო ინსტიტუციების მიმართ ნდობის შემცირების განზრახვებს ასახელებენ (Douglas et al., n.d.). წინამდებარე კვლევაში განხილული იქნება 3 ძირითადი მოტივი: მათგან ორი ეგზისტენციალურ მოტივებს მიეკუთვნება (შფოთვის მაღალი დონე და მარტოობის განცდა), მესამე კი სოციალურს – კოლექტიურ ნარცისიზმს.

ელიტის წარმომადგენლები, რომლებიც ბავშვებზე სექსუალურად ექსპლუატირებენ და მსოფლიოს მართვას ცდილობენ. QAnon-ის თეორიები დიდი პოპულარობით სარგებლობდა აშშ-ში, განსაკუთრებით, 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში და ეს მოძრაობა გარკვეულწილად უკავშირდებოდა კაპიტოლიუმის შენობაში 2021 წლის იანვარში მომხდარ მოვლენებს.

კოლექტიური ნარცისიზმი და შეთქმულებების თეორიების რწმენა

არსებული ლიტერატურა გვაჩვენებს, რომ შეთქმულებების თეორიების რწმენა დაკავშირებულია ადამიანებში ნარცისიზმის განცდასთან, ეს კავშირები დადგინდა, როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური ნარცისიზმის შემთხვევაში (Golec De Zavala & Federico, 2018) (Cichocka, 2016).

კოლექტიური ნარცისიზმი შეიძლება განიმარტოს, როგორც ჯგუფის ადმატებულობის არარეალისტური რწმენა. რწმენა, რომ საკუთარი ჯგუფი განსაკუთრებულ მოპყრობას საჭიროებს და ეს სხვა ადამიანებს გაცნობიერებული არ აქვთ, რაც საფუძლად უდევს საკუთარი ჯგუფის მიმართ დადებითი ემოციების ქონას და გარე ჯგუფის მიმართ ხშირად ნეგატიური დამოკიდებულების ფორმირებას (De Zavala et al., 2009), კვლევები, ასევე, მიუთითებს, რომ კოლექტიური ნარცისიზმი უფრო ხშირად მიმართულია გარე ჯგუფის (მაგ., სხვა ეროვნების) მიმართ შეთქმულებების თეორიის რწმენის მაღალ ხარისხზე (Cichocka et al., 2016). ეს ტენდენცია ბუნებრივია, რადგან კოლექტიური ნარცისიზმის დროს ჯგუფის სელფი უნდა იყოს დაცული და სხვებისგან პატივნაცემი, შესაბამისად, ყველაფერი, რაც ამას შეიძლება ხელს უშლიდეს, აღიქმება როგორც საფრთხე ჯგუფისთვის და იწვევს სელფის პოზიტიური იმიჯის შენარჩუნების სურვილს.

2022 წელს ჩატარებული პირველი მეტანალიზის საშუალებით, რომელიც კოლექტიურ ნარცისიზმსა და შეთქმულებების თეორიების რწმენას შორის კავშირს ეხებოდა, გამოვლინდა, რომ ეს კავშირი ყველაზე ძლიერია იმ შეთქმულების თეორიებისთვის, რომლებიც ფარულ ბოროტ განზრახვებსა და საზიანო ქმედებებს მიაწერენ კონკრეტულ გარე ჯგუფს. ეს კავშირი აიხსნება იმით, რომ „აუცილებელი თავდაცვა“ ამართლებს კოლექტიური ნარცისების მიერ აგრესიაში, ძალადობასა და ომში ჩართვის გადაწყვეტილების მიღების სიმარტივეს და დარწმუნებულობას, რომლითაც ისინი ამცირებენ სხვებს და აცხადებენ მათ მიმართ სიძულვილს. ასევე, არსებობს საშუალო ზომის კავშირი კოლექტიურ ნარცისიზმსა და შეთქმულების თეორიებს შორის, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა საფრთხესთან, რომლებიც მიმდინარეობს ბუნდოვნად განსაზღვრული, ძლიერი „სხვებისგან“. აქ, ძირითადად, წამყვანია სიცხადის მოთხოვნილება. დაბოლოს, ყველაზე სუსტი, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი, კავშირი იქნა ნაპოვნი კოლექტიურ ნარცისიზმსა და ზოგად კონსპირაციულ აზროვნებას შორის. ზოგადი კონსპირაციული აზროვნება დაკავშირებულია ძალადობრივ ქმედებებში ჩართვის მზადყოფნასთან ფორმალური პოლიტიკური და სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ, რომლებიც წარმოადგენენ უპირატეს ჯგუფებს (Golec De Zavala et al., 2022).

საინტერესოა, რომ უბრალო იდენტიფიკაცია ეროვნულ ჯგუფთან, ნარცისული კომპონენტის გარეშე, ნაკლებად წინასწარმეტყველებს ზოგად შეთქმულებების თეორიების მიმართ რწმენას, ასევე, კვლევები აჩვენებს, რომ თუ ჯგუფი წარსულში

ოდესღაც ყოფილა დისკრიმინაციის მსხვერპლი ან თავდასხმის ობიექტი კონკრეტული გარეჯგუფისგან, მაშინ ამ ჯგუფის მიმართ შეთქმულებების თეორიების რწმენის ალბათობა ძალიან მაღალია (Parsons et al., 1999; Simmons & Parsons, 2005).

ჯგუფშიდა და გარე ჯგუფის მიმართ დამოკიდებულებთან კავშირების კვლევისას შემდეგი მიმართება დადგინდა: ჯგუფის წევრებში შეთქმულებების თეორიები, რომლებიც გარეჯგუფს ეხება, ზრდის მათში გარე ატრიბუციის ტენდენციას, რაც გულისხმობს, რომ რაღაც საკითხში გარე ჯგუფია „დამნაშავე“. ეს კი იწვევს ამ ჯგუფში კოლექტიური ნარცისიზმის ზრდას, რომელსაც, საბოლოოდ, მიყვართ ჯგუფის წევრების მიერ სისტემის გამართლების ტენდენციისკენ (Mao et al., 2023).

საკუთარი და გარეჯგუფის მიმართ დამოკიდებულებებს შორის კავშირის შესწავლა მკვლევარებისთვის საინტერესოა, რადგან ჩნდება კითხვა, თუ რატომ შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში საკუთარი ჯგუფის მიმართ პოზიტიურ განწყობას მიყვავდეთ გარე ჯგუფის მიმართ ცრუწრუმენებისა და აგრესიისკენ, ზოგჯერ კი იგივე კონსტრუქტი არ იწვევდეს გარეჯგუფის მიმართ ნეგატიურ განწყობებს. არსებობს თეორიული მოდელი, რომლის მიხედვითაც, გარე ჯგუფის მიმართ დამოკიდებულებები შიდაჯგუფური ფავორიტიზმის ტიპზეა დამოკიდებული (კერძოდ, ეფუძნება ის კოლექტიურ ნარცისიზმს თუ არა). კოლექტიური ნარცისიზმის შესახებ კვლევებზე დაყრდნობით, თეორიის ავტორი ასკვნის, რომ ეს კონსტრუქტი უკავშირდება საკუთარი ჯგუფის მიმართ არსებული ქრონიკული საფრთხის აღქმას და, შესაბამისად, გარეჯგუფის შესახებ შეთქმულებების თეორიების გაზრდილ რწმენას. ხოლო როცა ჯგუფი არ არის თავდაცვის რეჟიმში და ხასიათდება კონსტრუქციული, ადაპტური, ჯგუფშიდა ფავორიტიზმით, სადაც ყველას გააზრებული აქვს საკუთარი როლი ჯგუფის მხარდაჭერაში, არის ინდივიდების ძლიერ სელფზე დაფუძნებული (განსხვავებით კოლექტიური ნარცისიზმისგან), როდესაც ინდივიდები საკუთარი „მე“-ს სისუსტეს ჯგუფთან იდენტიფიკაციის გზით ებრძვიან, ნაკლებად აღიქმება გარეჯგუფისგან მომდინარე საფრთხეები, არაადეკვატური რეაგირება კრიტიკაზე და ამის გამო ნაკლებია ჩართულობა გარეჯგუფის მიმართ შეთქმულებების თეორიებში, ბოროტმოქმედული ზრახვების მიწერასა თუ აგრესიასა და სიძულვილში (Cichocka, 2016).

ამასთან, თეორიის მიხედვით, ნარცისული და არანარცისული ჯგუფური ფავორიტიზმი, გარდა ჯგუფთაშორისი დინამიკისა, დიდ გავლენას ახდენს ჯგუფის შიგნით პროცესებზე. მაგ., აღმოაჩინეს, რომ მაღალი კოლექტიური ნარცისიზმის მქონე ჯგუფის წევრები უფრო თანხმდებოდნენ ჯგუფის მიტოვებას საკუთარი საჭიროებების დაკმაყოფილების ან პირობების გაუმჯობესების მიზნით, ვიდრე დაბალი კოლექტიური ნარცისიზმის მქონეები (Cichocka, 2016).

არსებული ხედვები და თეორიები აქტიურად მიუთითებს შეთქმულებების თეორიების რწმენაში ჯგუფური დინამიკის თავისებურებების გათვალისწინების აუცილებლობას, მკაფიოდ უსვამს ხაზს, რომ კოლექტიური ნარცისიზმი ბევრ შემთხვევაში შესაძლოა, სწორედ ის ფაქტორი იყოს, რის გამოც ჯგუფთაშორისი კონფლიქტები აგრესიულ და არაადეკვატურ ფორმებს იღებს, თუმცა, მეორე მხრივ, კვლევები მიუთითებენ, რომ ჯგუფთან მიკუთვნებულობის განცდა ადამიანის ფუნდამენტური მოთხოვნილებებიდან ერთ-ერთია, რის გამოც კოლექტიური ნარცისიზმის შემთხვევები (ანუ როდესაც ეს ჯგუფური იდენტობის სახე ნორმებს სცდება) არც თუ ისე იშვიათია. წინამდებარე კვლევის ერთ-ერთი მიზანია, დაადგინოს კავშირი კოლექტიურ ნარცისიზმსა და მარტოობას შორის, ისევე როგორც კავშირი კოლექტიურ ნარცისიზმსა და შეთქმულებების თეორიებს შორის.

შფოთვა და შეთქმულებების თეორიების რწმენა

არაერთი კვლევა, მათ შორის უკანასკნელ წლებში კოვიდ 19-ის პანდემიის დროს და პანდემიის შემდგომ პერიოდში ჩატარებული კვლევები, მიუთითებს იმაზე, რომ უხილავი, უმართავი საფრთხის მოლოდინი იწვევს გაუგებრობის დაუსრულებელ განცდას, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება ფსიქოლოგიურ დისტრესსა და სტრესის მაღალ დონეს (Barzilay et al., 2020; Salari et al., 2020). ამ მოჭარბებულმა სტრესმა და იმ სიტუაციაზე კონტროლის აღდგენის განცდის სურვილმა, ზოგჯერ შეიძლება, გამოიწვიოს საფრთხის სოციალურ გარე ჯგუფისა ან ძალისთვის მიწერა და მათგან იზოლირების სურვილის ზრდა (Poon et al., 2020). სწორედ აქ ხდება უკვე ცხადი შეთქმულებების თეორიების როლი და ფუნქცია. ნაცვლად იმისა, რომ ადამიანებმა რეალურად პრობლემის უკეთ შესწავლის და მასში აზრის, შინაარსის პოვნის სურვილით ადეკვატური მექანიზმები გამოიყენონ (მაგ., ინფორმაციის მიღება, საკითხის ექსპერტებთან განხილვა და ა. შ.), ხშირად ადამიანებში ასეთ დროს იზრდება შეთქმულებების თეორიებისადმი მგრძნობელობა და მათ მიმართ რწმენის პოტენციალი. აზრის ძიების სურვილს და ინფორმაციის მიღებას საფუძველში რეალურად შესაძლოა, არაგადაჭარბებული შფოთვა ედოს, გადაჭარბებული შფოთვა და ნეგატიური ემოციები კი უფრო მეტად შეთქმულებების თეორიებს უკავშირდება (Šrol et al., 2021; Van Prooijen & Douglas, 2017).

აქამდე ჩატარებული სხვადასხვა კვლევის საფუძველზე მიღებული ერთ-ერთი ყველაზე თანმიმდევრული და ემპირიულად გამყარებული აღმოჩენა არის შეთქმულებების თეორიების რწმენის კავშირი პოტენციური საფრთხეების საპასუხოდ გაზრდილ სიფხიზლესთან. მეცნიერებმა აღმოაჩინეს პოზიტიური კავშირი შეთქმულების რწმენასა და შფოთვის როგორც მდგომარეობას, ისე ნიშან-თვისებას შორის (Grzesiak-Feldman, 2013). დადგინდა შეთქმულებების თეორიების რწმენის კავშირი სხვა სოციალური ჯგუფების მიერ წარმოქმნილი საფრთხის აღქმასთანაც (Imhoff & Bruder, 2014). ასევე, აღმოაჩინეს, რომ მოქალაქეებში კრიზისის

დროს შეთქმულებების თეორიების რწმენამ შესაძლოა, მოკლე დროით შფოთვის შემცირება გამოიწვიოს, თუმცა გრძელვადიან შედეგებში ის სამოქალაქო ქცევის ნეგატიურ შედეგებს და ხალხში უნდობლობას იწვევს (Heiss et al., 2021). ეს შედეგები ასახავს ე. წ. საფრთხის კომპენსაციის კონცეფციას, რაც იმას ნიშნავს, რომ როდესაც რთულდება მოვლენებში აზრის ძიება და ახსნის პროცესი, ადამიანები განიცდიან აგზნების მდგომარეობას, რაც უბიძგებს მათ, ირწმუნონ ისეთი რაღაცები, რაც მათ მისცემს საშუალებას, დაიკმაყოფილონ ის მთავარი მოთხოვნილება, რომელსაც სიცხადის მოთხოვნილება და მოვლენების ახსნის სურვილი წარმოადგენს (Proulx & Heine, 2010). ამ ლოგიკით გამოდის, რომ სიტუაციებმა, რომლებშიც საფრთხის მოსალოდნელობა მაღალია, მაგ., ომი, პანდემია, შეიძლება, ადამიანებში გამოიწვიოს გარკვეული რწმენების, მოთხოვნილებების (მაგ., უსაფრთხოების განცდის) დაკარგვის საფრთხე, ამის დასაკომპენსირებლად კი ადამიანებმა შესაძლოა, გაზარდონ სხვა რწმენები, მაგ., გაიზიარონ შეთქმულებების თეორიები ვირუსების ხელოვნურად გავრცელების შეხახებ. ამ თვალსაზრისით, შეთქმულების თეორიების რწმენა შეიძლება, ჩაითვალოს ერთგვარი დაძლევის სტრატეგიად. ამგვარად, შეთქმულების თეორიების მოწონება შეიძლება, დაეხმაროს ინდივიდს, შეამციროს შფოთვის და აგზნების ავერსიული გრძნობები პოტენციური საფრთხის წინაშე (Jutzi et al., 2020), რამაც შეიძლება ახსნას, თუ რატომ არიან შფოთვის მაღალი დონის მქონე პირები უფრო მოწყვლადები ასეთი თეორიების მიმართ. მსგავს თეორიულ მოდელს ადასტურებს ერთ-ერთი უახლესი გერმანული კვლევაც, რომელშიც ნაჩვენებია, რომ შეთქმულებების თეორიების რწმენა დაკავშირებულია დისპოზიციურ, მაგრამ არა სიტუაციურ შფოთვასთან. რაც შეეხება სტრესორებთან გამკლავებას, შეთქმულებების რწმენა დადებითად არის დაკავშირებული სიფხიზლის სტრატეგიასთან და საერთოდ არ უკავშირდება ამრიგებულ სტრატეგიას. ეს შედეგები გულისხმობს, რომ პირები, რომლებიც მხარს უჭერენ შეთქმულების თეორიებს, უფრო შფოთავენ და ვერ ეგუებიან გაურუკველობას (Krüppel et al., 2023).

შფოთვისა და შეთქმულებების თეორიების კავშირს ეხმიანება მოსაზრება, რომ შეთქმულებების თეორიების რწმენისადმი ტენდენცია შესაძლოა, საფუძველს ბავშვობაშივე იღებდეს. კერძოდ, აღმოჩენილ იქნა, რომ შფოთვითი მიჯაჭვულობა³ უნიკალური მაჩვენებელია (სხვა მიჯაჭვულობის ტიპებთან შედარებით) კონსპირაციული თეორიის რწმენისა. როგორც ჩანს, მიჯაჭვულობა არა მხოლოდ სოციალურ ინტერაქციებზე ახდენს გავლენას, არამედ ის მონაწილეობს მომავალში ადამიანის მსოფლმხედველობისა და პოლიტიკური დამოკიდებულებების

³შფოთვით მიჯაჭვულ პირებს აქვთ მიჯაჭვულობის ფიგურების არათანმიმდევრული რეაგირების ისტორია, მაგრამ მიუხედავად ამისა, აქვთ სიახლოვის ძლიერი სურვილი. მიჯაჭვულობის ფიგურის მხარდაჭერის, ყურადღების და მზრუნველობის მოსაპოვებლად საჭიროების დროს შფოთვით მიჯაჭვული პირები მიდრეკილნი არიან გამოიყენონ ჰიპერაქტივაციის სტრატეგიები (Cassidy & Kobak, 1988)

ფორმირების პროცესშიც. კონსპირაციის თეორიები ასეთი ტიპის მიჯაჭვულობის მქონე ადამიანებისთვის ფსიქოლოგიური მოთხოვნილების, კერძოდ კი, დაცულობის განცდის დაკმაყოფილების საშუალებაა (Green & Douglas, 2018).

კვლევებში განხილულია შეთქმულებების თეორიების უარყოფითი გავლენაც მენტალურ ჯანმრთელობაზე, კერძოდ, ფაქტი, რომ შეთქმულებების თეორიების რწმენამ შესაძლოა, მიგვიყვანოს შფოთვის მატებასთან (Leibovitz et al., 2021), რაც შეესაბამება სხვა კვლევებსაც (Douglas, Sallem et al., 2020; Hettich et al., 2022).

მართალია, კვლევები აქტიურად მიუთითებს კრიზისულ სიტუაციებში გაურკვევლობით გამოწვეული შფოთვის კავშირზე შეთქმულებების თეორიების მიმართ გაზრდილ რწმენასთან, მაგრამ წინამდებარე კვლევის ერთ-ერთი ძირითადი საკვლევი კითხვაა, არის თუ არა ინდივიდებში, ზოგადად, შფოთვის მომატებული დონე, ანუ შფოთვა, როგორც მდგომარეობა, დაკავშირებული შეთქმულებების თეორიების ზოგად რწმენასთან, რაც დიდი ალბათობით უნდა გამართლდეს, რადგან სხვადასხვა კვლევა მიუთითებს იმაზე, რომ ერთი შეთქმულების თეორიის რწმენა და, ზოგადად, ფსევდომეცნიერული განწყობები ჯაჭვურად იწვევს სხვა შეთქმულებების თეორიების რწმენასაც, შესაბამისად, სავარაუდოა, რომ როდესაც ადამიანებს მომატებული აქვთ შფოთვის დონე, მეტად არიან მიდრეკილი, ირწმუნონ შეთქმულებების თეორიები.

მარტოობა და შეთქმულებების თეორიების რწმენის მიმართ მოწყვლადობა

მიუხედავად იმისა, რომ შეთქმულებების თეორიების შესახებ სამეცნიერო ინტერესი განსაკუთრებით ბოლო წლებში გაიზრდა, არც თუ ისე დიდი რაოდენობითაა კვლევები სხვადასხვა კონსტრუქტთან მისი კავშირის შესახებ. მათ შორის, სუბიექტურ მარტოობასა და შეთქმულებების თეორიების რწმენის მიმართ მოწყვლადობას შორის კავშირის შესასწავლად არც თუ ისე ბევრი კვლევაა ჩატარებული, თუმცა რამდენიმე კვლევის შედეგი ნამდვილად გვაძლევს იმის შესწავლისა და გაანალიზების საჭიროების შესახებ მონაცემებს, რომ ამ ორ ცვლადს შორის შესაძლოა, რეციპროკული კავშირი იყოს, კერძოდ, სუბიექტური მარტოობა შესაძლოა, იყოს წინაპირობა იმისა, რომ ადამიანები ჩაერთონ შეთქმულებების თეორიების დაჯერებისა და გავრცელების აქტივობებში და, მეორე მხრივ, ამ ყველაფერმა მათში გაზარდოს სუბიექტურად აღქმული მარტოობის დონე.

სოციალურ ფსიქოლოგიაში მარტოობას განმარტავენ, როგორც ადამიანის სოციალური მოთხოვნილებების ხარისხობრივად ან რაოდენობრივად დაუკმაყოფილებლობით გამოწვეულ დისტრესს, რაც გულისხმობს იმას, რომ ადამიანს არ აკმაყოფილებს ის სოციალური კავშირები, რაც მას აქვს მათი ხარისხის ან სიმცირის გამო (Russell, 1996).

მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურაში არ არის ბევრი მხარდამჭერი მონაცემი იმისა, რომ შეთქმულებების თეორიების რწმენა შესაძლოა, დაკავშირებული იყოს სუბიექტური მარტოობის აღქმასთან, წინამდებარე კვლევაში გადამოწმებულია ეს კავშირი იმ დაშვებით, რომ შეთქმულებების თეორიების რწმენა შესაძლოა, წინასწარმეტყველებდეს სუბიექტურ მარტოობას.

მარტოობასა და კოლექტიურ ნარცისიზმს შორის კავშირის შესახებ კვლევები ლიტერატურაში არ გვხვდება, თუმცა ამ კავშირის არსებობის შესახებ ვარაუდს ამყარებს ერთ-ერთ უახლეს კვლევაში დადასტურებული კავშირი მარტოობასა და ინდივიდუალურ ნარცისიზმს შორის. კვლევით დაადგინეს, რომ მარტოობის სკალაზე მაღალი ქულები დაკავშირებულია ნარცისის პროფილთან, რომელსაც მაღალი ქულები აქვს ნარცისიზმის შემდეგ ფაქტორებზე: სირცხვილის, აღიარების მოთხოვნილების, ავტორიტეტულობის, გრანდიოზული ფანტაზიის, აღიარების ძიებისა და უნდობლობის სკალებზე (Baerg MacDonald & Schermer, 2023). რამდენადაც ჯგუფური, ანუ კოლექტიური ნარცისიზმის, კონსტრუქტიც თავის თავში მოიაზრებს აღიარების მოთხოვნილებას, აღმატებულობის, ავტორიტეტულობის განცდას, გრანდიოზულ ფანტაზიებს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კოლექტიური ნარცისიზმიც უნდა უკავშირდებოდეს სუბიექტურ მარტოობას.

კვლევის კონცეფცია

უკანასკნელ პერიოდში სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით შეთქმულებების თეორიებთან დაკავშირებულ კონსტრუქტებს, იმ პიროვნულ თუ სიტუაციურ ცვლადებს, რომლებშიც ადამიანები მიდრეკილი ხდებიან, ირწმუნონ თეორიები, რომლებსაც შეიძლება, არაფერი ჰქონდეთ საერთო რეალობასთან. წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს კოლექტიური ნარცისიზმის, მარტოობის, შფოთვისა და შეთქმულებების რწმენის ურთიერთკავშირებისა და მათ შორის შესაძლო მიმართებების დადგენას. კერძოდ, კვლევის ძირითადი კითხვებია:

1. წინასწარმეტყველებს თუ არა კოლექტიური ნარცისიზმის სკალაზე მაღალი ქულები შეთქმულებების თეორიების რწმენის მაღალ დონეს?
2. შეუძლია თუ არა მარტოობას, იწინასწარმეტყველოს ინდივიდის შეთქმულებების თეორიების რწმენა?
3. შეუძლია თუ არა შფოთვის, იწინასწარმეტყველოს ინდივიდის შეთქმულებების თეორიების რწმენა?
4. დაკავშირებულია თუ არა სუბიექტური მარტოობის განცდა მომატებულ შფოთვისასთან?
5. დაკავშირებულია თუ არა შფოთვის მაღალი დონე კოლექტიურ ნარცისიზმთან?
6. დაკავშირებულია თუ არა სუბიექტური მარტოობა კოლექტიურ ნარცისიზმთან?

დასახელებული კითხვების გათვალისწინებით წინამდებარე ნაშრომში გადამოწმებული იქნება შემდეგი ჰიპოთეზები:

H1: კოლექტიური ნარცისიზმი წინასწარმეტყველებს შეთქმულებების თეორიების მიმართ რწმენას;

H2: სუბიექტურ მარტოობას შეუძლია შეთქმულებების თეორიების მიმართ რწმენის წინასწარმეტყველება;

H3: ადამიანებში მომატებული შფოთვა წინასწარმეტყველებს მათ მიერ შეთქმულებების თეორიების რწმენას;

H4: აღქმული სუბიექტური მარტოობა დაკავშირებულია მომატებულ შფოთვასთან;

H5: აღქმული სუბიექტური მარტოობა უარყოფითადაა დაკავშირებული კოლექტიურ ნარცისიზმთან;

კვლევის მეთოდი

შერჩევის აღწერა

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 316-მა რესპონდენტმა, მათ შორის, მდებარეობით სქესის წარმომადგენელი იყო 83.9%. რესპონდენტთა საშუალო ასაკი იყო 38 წელი ($SD=13.6$, $Mean=38.05$). კვლევაში მონაწილეობის მიღების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა სრულწლოვანება. კვლევაში მონაწილეობა იყო ნებაყოფლობითი და მოხალისეობრივი. რესპონდენტებს წინასწარ არ ჰქონდათ ინფორმაცია კვლევის ზუსტი შინაარსის შესახებ, რათა თავიდან აგვერიდებინა სოციალური სასურველობის ეფექტი.

კვლევის ინსტრუმენტები

მონაცემები შეგროვდა თვითადმინისტრირებადი ონლაინ კითხვარის საშუალებით, რომელიც აეწყო Google Forms-ში. კითხვარის ბმული რესპონდენტებს გაეგზავნათ სოციალური ქსელის საშუალებით. კითხვარი შედგებოდა ქვემოთ მოცემული 5 ნაწილისგან.

დემოგრაფიული ბლოკი

მონაწილეები გვაწვდიდნენ ინფორმაციას სქესის, ასაკისა და მიღებული განათლების უმაღლესი საფეხურის შესახებ. დამატებით ისინი იძლეოდნენ ინფორმაციას საკუთარი ეკომონიკური მდგომარეობის შესახებ (რომელიც 5-ქულიან ლაიკერტის ტიპის სკალაზე იზომებოდა, რომელშიც 1 გულისხმობდა *საშუალოზე ბევრად დაბალს*, 5 კი – *საშუალოზე ბევრად მაღალს*). ასევე, რესპონდენტები პასუხს

სცემდნენ კითხვას მათი რელიგიურობის შესახებ (*მიუხედავად იმისა, ესწრებით თუ არა რელიგიურ რიტუალებს, ყველაზე მეტად რომელი შეგესაბამებათ?*). რესპონდენტების პოლიტიკის მიმართ ინტერესის გასაზომად გამოყენებული იყო ორი კითხვა (*რამდენად დაინტერესებული ხართ პოლიტიკით?* რომელიც იზომებოდა 5-ქულიან სკალაზე საერთოდ არ ვარ დაინტერესებული-დან ძალიან დაინტერესებული-მდე და მეორე კითხვით: *როდესაც მეგობრებთან ერთად ხართ, განიხილავთ თუ არა პოლიტიკურ საკითხებს?* რომელიც იზომებოდა ლაიკერტის ტიპის 5-ქულიანი სიხშირის სკალაზე). პოლიტიკის მიმართ ინტერესისა და რელიგიურობის საზომი კითხვები ეფუძნება მსოფლიო ღირებულებების კვლევის მეშვიდე ტალღის კითხვარს (World Values Survey, 2023).

ზოგადი შეთქმულებების თეორიების მიმართ რწმენა

კვლევაში გამოყენებულ იქნა ზოგადი შეთქმულებების თეორიების სკალის მოკლე ფორმა (Brotherton et al., 2013), რომელიც შედგება 15 დებულებისგან. თითოეული დებულება შეესაბამება შეთქმულებების შესახებ ზოგად რწმენას, რომელიც გულისხმობს მსოფლიოში რეალურად არსებული შეთქმულებების თეორიების რწმენისადმი ტენდენციას. მონაწილეებმა დებულებები შეაფასეს 5-ქულიან ლაიკერტის ტიპის სკალაზე (1= მცდარია, 2= სავარაუდოდ მცდარია, 3= არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა, 4= ალბათ მართალია და 5= სავსებით მართალია). აღნიშნულ სკალას აქვს ხუთი განზომილება: მთავრობის ბოროტმოქმედება (*„ხელისუფლება მონაწილეობს უდანაშაულო მოქალაქეების ან/და ცნობილი საზოგადო მოღვაწეების მკვლელობაში და ამას საიდუმლოდ ინახავს“*), მავნე გლობალური შეთქმულებები (*„ადამიანთა მცირე, საიდუმლო ჯგუფი პასუხისმგებელია ყველა ძირითადი მსოფლიო გადაწყვეტილების მიღებაზე, როგორცაა ომის დაწყება“*), არამიწიერი მოვლენების არსებობა (*„უცხოპლანეტელებთან კონტაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები საზოგადოებისთვის დამალულია“*), პირადი კეთილდღეობა (*„ხელისუფლება კრიმინალურ ქმედებებში თავისი მონაწილეობის დასამალად იყენებს ჩვეულებრივ ადამიანებს“*) და ინფორმაციის კონტროლი (*„გარკვეული ვირუსების და/ან დაავადებების გავრცელება არის გარკვეული ორგანიზაციის მიზანმიმართული, ფარული ძალისხმევის შედეგი“*). ორიგინალი სკალა ხასიათდება განსაკუთრებით მაღალი შინაგანი შეთანხმებულობით ($\alpha=.95$), რაც მაღალ სანდოობაზე მიგვანიშნებს (Brotherton et al., 2013). წინამდებარე კვლევაში სკალის შინაგანი შეთანხმებულობა იყო დამაკმაყოფილებელი ($\alpha=.89$).

შფოთვა

შფოთვის გასაზომად კვლევაში გამოყენებული იყო 1995 წელს ავსტრალიაში შექმნილი დეპრესიის, შფოთვისა და სტრესის სკალიდან (DASS) მხოლოდ შფოთვის ქვესკალა (Lovibond & Lovibond, 1995). მთლიანი ინსტრუმენტი შეიცავს 42 პუნქტს,

რომლებიც აფასებს სამ ურთიერთდაკავშირებულ კონსტრუქტს: დეპრესიას, შფოთვისასა და სტრესს. წინამდებარე კვლევაში გამოყენებულ იქნა შფოთვის ქვესკალის 14 დებულება. რესპონდენტებს პასუხების გაცემისას მითითება ჰქონდათ, რომ ფოკუსირებულნი ყოფილიყვნენ გასულ კვირაში იმ დროის რაოდენობაზე, როდესაც ისინი განიცდიდნენ მოცემულ პრობლემას, როგორცაა, მაგალითად, „პირში სიმშრალეს ვგრძნობდი“, „ხელები მიკანკალებდა“. დებულებები ფასდებოდა ლაიკერტის ტიპის 5 ქულიან სკალაზე, დაწყებული „საერთოდ არ მახასიათებდა“-დან და დამთავრებული „უმეტესწილად მახასიათებდა“-თი. წინამდებარე კვლევაში შფოთვის ქვესკალის შინაგანი შეთანხმებულობა იყო დამაკმაყოფილებელი ($\alpha=.90$)

სუბიექტური მარტოობის აღქმა

კვლევაში გამოყენებულ იქნა 20-დებულებიანი სუბიექტური მარტოობის საზომი სკალა (Russell, 1996). სკალა შეიცავდა 11 უარყოფითად, ხოლო 9 დადებითად ფორმულირებულ შეკითხვას, რომლებიც ზომავდა რესპონდენტის იმჟამინდელი ურთიერთობების რაოდენობით და ხარისხით კმაყოფილებას. აღნიშნული სკალა მანამდე არსებული სკალის მესამე რევიზიის შედეგს წარმოადგენს, რომელშიც დებულებები გადაკეთდა შემდეგი ტიპის შეკითხვებად („რამდენად ხშირად გრძნობთ სხვებთან სიახლოვეს?“; „რამდენად ხშირად გრძნობთ, რომ არიან ადამიანები, ვისაც თქვენ შეგიძლიათ დაელაპარაკოთ?“). პასუხები ორიგინალ ვერსიაში იზომებოდა 4-ქულიან ლაიკერტის ტიპის სიხშირის სკალაზე, თუმცა ის ამ კვლევის კითხვარისთვის გადაკეთდა 5-ქულიან სკალად, რომელშიც 1 ნიშნავს „არასდროს“, ხოლო 5 – „ყოველთვის“. აღნიშნული ცვლილება განხორციელდა სხვა სკალების პასუხებთან შესაბამისების მიზნით. აღნიშნულ კვლევაში სკალის შინაგანი შეთანხმებულობა იყო მაღალი ($\alpha=.93$).

კოლექტიური ნარცისიზმი

ერთ-ერთი საკვანძო ცვლადის გასაზომად კითხვარი შეიცავდა 9-დებულებიან კოლექტიური ნარცისიზმის სკალის მოკლე ვერსიას, რომელიც კოლექტიური ნარცისიზმის ერთ-ერთ ყველაზე ვალიდურ ინსტრუმენტს წარმოადგენს (de Zavala et al., 2009). სკალის ყველა დებულებაში ფრაზა „ჩემი ჯგუფი“ ჩანაცვლებული იყო „ქართველებით“ („ქართველების ფასს ხშირად ვერ ხვდებიან“ „ქართველები ვიმსახურებთ განსაკუთრებულ მოპყრობას“). რესპონდენტები პასუხს 5-ქულიან ლაიკერტის ტიპის სკალაზე აფიქსირებდნენ, რომელიც „1 - საერთოდ არ ვეთანხმები“-დან, „5 - სრულიად ვეთანხმები“-მდე ზომავდა რესპონდენტის თანხმობის ხარისხს. აღნიშნულ კვლევაში სკალის შინაგანი შეთანხმებულობა იყო მაღალი ($\alpha=.95$).

შედეგები

ნაშრომის ამ ნაწილში განხილულია შეთქმულებების თეორიების ზოგადი რწმენების კორელაციების შესახებ ინფორმაცია. თავდაპირველად განვიხილავთ სამიზნე ცვლადებს შორის პირდაპირ კავშირებს, შემდგომ კი მათი წინასწარმეტყველების უნარს. მონაცემები დამუშავდა სტატისტიკურ პროგრამა IBM SPSS Statistics 23-ში.

დემოგრაფიული ცვლადების აღწერითი სტატისტიკა

სულ გამოკითხვაში მონაწილეობდა 316 ადამიანი, მათგან 34% ახალგაზრდა, 30 წელზე მცირე ასაკის (N=108), თითქმის იგივე წილს (37%) შეადგენდა გამოკითხვაში საშუალო ასაკის (30-45 წ.) რესპონდენტების რაოდენობა. როგორც N1 ცხრილში ჩანს, რესპონდენტების უმრავლესობა (78.9%) უმაღლესი განათლების მქონე, კერძოდ, ბაკალავრის (33%) და მაგისტრის (46%) ხარისხის მქონე პირები არიან.

რაც შეეხება პოლიტიკით დაინტერესებასა და ჩართულობას, გამოიკვეთა ტენდენცია, რომ გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილი ამ ორ კითხვაზე ნეიტრალურ პოზიციას აფიქსირებს. უფრო დიდი ნაწილი აფიქსირებს, რომ პოლიტიკით ნაკლებადაა დაინტერესებული (37%) და პოლიტიკური პროცესების განხილვაში ნაკლებადაა ჩართული (45%). დემოგრაფიულ ბლოკში რესპონდენტები ასევე აფიქსირებდნენ თავის რელიგიურობასა და ეკლესიურობის შესახებ ინფორმაციას. რესპონდენტების ორი მესამედი (61%) თავს რელიგიურ პიროვნებად მიიჩნევს, ხოლო მხოლოდ 6% ამბობს, რომ ათეისტია. თუმცა საინტერესოა, რომ რელიგიური პრაქტიკებისა და რიტუალების განხორციელების შესახებ რესპონდენტთა თითქმის ნახევარი (49.7%) ამბობს, რომ რელიგიურ რიტუალებს ან ძალიან იშვიათად, ან საერთოდ არ ესწრებიან.

ცხრილი N1. დემოგრაფიული ცვლადების აღწერითი სტატისტიკა (N = 316)

ცვლადები	M	SD	დიაპაზონი	α
ასაკი	38.05	13.6	18-87	
რელიგიურობა	1.45	0.61	1-3	
ეკონომიკური მდგომარეობა	3.18	0.7	1-5	
ეკლესიურობა	4.82	1.71	1-7	
პოლიტიკით დაინტერესება	2.84	1.1	1-5	
	2.73	9	1-5	

პოლიტიკაში	1.1
ჩართულობა	2

შეთქმულებების თეორიების რწმენა დემოგრაფიულ ჭრილში

სქესის და ასაკის მიხედვით განსხვავება შეთქმულებების თეორიებისადმი ზოგადი რწმენის ქულის მიხედვით არ აღმოჩნდა სტატისტიკურად არსებითი.

ჯგუფთა შორის ANOVA გამოყენებულ იქნა, რათა გვეკვლია პოლიტიკის ინტერესის გავლენა შეთქმულებების თეორიების მიმართ რწმენის ჯამურ მაჩვენებლებზე, პოლიტიკის მიმართ ინტერესის 5-ქულიანი სკალა გადაკეთდა 3-ქულიანი სკალად, რომელშიც ჯგუფები გაიყო პოლიტიკის მიმართ დაბალი/მაღლიან დაბალი ინტერესი, საშუალო და მაღალი/მაღლიან მაღალი ინტერესის დაფიქსირების მიხედვით. აღნიშნულ ჯგუფებს შორის განსხვავება იყო სტატისტიკურად მნიშვნელოვანი $p < .01$ დონეზე ($F(2,311)=5.53$, $p < 0.01$). ეფექტის ზომა (Effect size) საშუალო, რომელიც გამოთვლილია eta squared-ის საშუალებით, უდრის 0.034. Post-hoc ტესტი (რომელიც გამოთვლილია Tukey HSD-ის საშუალებით) გვიჩვენებს, რომ 1-ელი ჯგუფის, ანუ პოლიტიკის მიმართ დაბალი ინტერესის მქონე რესპონდენტების ჯგუფის, საშუალო ($M=28.8$, $SD=9.3$) მნიშვნელოვნად განსხვავდება მე-3-გან ($M=24.73$, $SD=9.19$), ხოლო მე-2 ჯგუფის, ანუ პოლიტიკის მიმართ საშუალო ინტერესის მქონე რესპონდენტების ჯგუფის, საშუალო ქულა შეთქმულებების თეორიების სკალაზე ასევე აღემატება პოლიტიკის მიმართ მაღალი ინტერესის მქონე რესპონდენტების ჯგუფში ამ სკალის საშუალოს ($M=28.45$, $SD=9.40$).

ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ ეკლესიურ რესპონდენტებს, ანუ იმათ, ვინც ხშირად ესწრება ეკლესიურ რიტუალებს, უფრო მაღალი ქულები აქვთ შეთქმულებების თეორიების რწმენების სკალაზე ($M = 29.08$, $SD=0.74$), ვიდრე მათ, ვინც ეკლესიურ რიტუალებს არასდროს ან ძალიან იშვიათად ესწრებიან ($M=26.11$, $SD=0.75$), $t(314) = 2.82$, $p < 0.05$). საშუალოების განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. ჯგუფის საშუალოებს შორის მაგნიტუდა (Mean difference = 2.97, 95% CI: 0.897-დან 5.037-მდე) შეფასდა, როგორც საშუალო (Cohen's $d=0.317$) (Cohen, 1988). განსაკუთრებით მნიშვნელოვანი განსხვავება ეკლესიურ და არაეკლესიურ პირებს შორის გამოვლინდა უცხოპლანეტელების შესახებ შეთქმულებების თეორიების რწმენის ხარისხის მიხედვით. კერძოდ, ეკლესიურ რიტუალებზე ხშირად მოსიარულე ადამიანების საშუალო ქულა ($M=5.79$, $SD=2.92$) აღნიშნულ ქვესკალაზე აღემატება ე.წ. „არაეკლესიური“ პირების საშუალოს ($M = 5.05$, $SD=2.56$). ($t(314) = 2.39$, $p < 0.05$). საშუალოების განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. ჯგუფის საშუალოებს შორის მაგნიტუდა (Mean difference = 0.74, 95% CI: 0.13-დან 1.35-მდე) შეფასდა როგორც საშუალო (Cohen's $d=0.269$) (Cohen, 1988).

უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ ქვესკალაზე დამატებით ჩატარდა პარციალური კორელაცია, რომლის შედეგადაც დადგინდა, რომ განათლების დონის გაკონტროლების შემთხვევაში ეკლესიურ რიტუალებზე დასწრების სიხშირე უარყოფით დაკავშირებულია უცხოპლანეტელების მიმართ კონსპირაციული თეორიების რწმენასთან, თუმცა ეს კავშირი სუსტია $r(311) = -0.12, p < 0.05$. აღნიშნული ტიპის ანალიზმა გვაჩვენა, რომ „ეკლესიურ“ პირებს ოდნავ უფრო მეტად სწამთ უცხოპლანეტელების შესახებ შეთქმულებების თეორიების. ასევე, საინტერესოა, რომ ეკლესიურ რესპონდენტებს უფრო მაღალი ($M=29.26, SD=9.24$) აქვთ კოლექტიური ნარცისიზმის სკალაზე ქულები, ვიდრე არაეკლესიურ პირებს ($M = 21.23, SD=9.33$), $t(314) = 7.61, p < 0.001$. საშუალოების განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. ჯგუფის საშუალოებს შორის მაგნიტუდა (Mean difference = 8.03, 95% CI: 5.95-დან 10.11-მდე) შეფასდა, როგორც ძალიან ძლიერი (Cohen's $d=0.864$) (Cohen, 1988).

შეთქმულებების თეორიების რწმენა – კორელაციური ანალიზი

სანამ შეთქმულებების თეორიების რწმენის და მასთან დაკავშირებული კვლევის სხვა ძირითადი ცვლადების ურთიერთკავშირზე გადავიდოდეთ, ცხრილ N2-ში გადმოცემულია საკვლევი ცვლადების აღწერითი სტატისტიკა და სკალების სანდოობის მაჩვენებლები. როგორც ცხრილიდანაც ჩანს, ოთხივე სკალას მაღალი შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებელი ჰქონდა.

ცხრილი N2. ძირითადი ცვლადების აღწერითი სტატისტიკა (N = 316)

ცვლადები	M	SD	დიაპაზონი	α
შფოთვა	25.76	10.78	5-70	.90
სუბიექტური მარტოობა	42.80	12.67	5-100	.93
კოლექტიური ნარცისიზმი	25.28	10.11	5-45	.95
შეთქმულებების თეორიების რწმენა	27.60	9.45	11-55	.89
ზოგადი		5		

რაც შეეხება კორელაციურ ანალიზს, შეთქმულებების თეორიების ზოგადი რწმენის სხვა მთავარ კონსტრუქტებთან, კერძოდ, კოლექტიურ ნარცისიზმთან, შფოთვასა და სუბიექტური მარტოობის აღქმასთან ურთიერთკავშირი გაზომილ იქნა Spearman's

Rho კოეფიციენტი. კორელაციური ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ შეთქმულებების თეორიების მიმართ ზოგად რწმენას სტატისტიკურად არსებითი კავშირი აქვს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ცვლადთან. შეთქმულებების თეორიების მიმართ ზოგად რწმენასა და კოლექტიურ ნარცისიზმს შორის არის საშუალო დადებითი კორელაცია - $r(316) = .30$, $p < 0.01$. ასევე, შეთქმულებების თეორიების მიმართ რწმენის ჯამურ ქულას სუსტი დადებითი კორელაცია აქვს შფოთვისთან ($r(316) = .21$, $p < 0.01$) და სუბიექტურ მარტოობასთან ($r(316) = .16$, $p < 0.01$), რაც გულისხმობს იმას, რომ მარტოობისა და შფოთვის სკალაზე რესპონდენტების მაღალი ქულები დაკავშირებულია მათ მიერ კონსპირაციული თეორიებისადმი რწმენის სკალაზე მიღებულ მაღალ ქულებთან. აქვე აღსანიშნავია, რომ ანალიზის შედეგად, თავად მარტოობასა და შფოთვის შორის საშუალო დადებითი კავშირი იქნა ნაპოვნი ($r(316) = .36$, $P < 0.01$). ასევე, სუსტი დადებითი კორელაცია აღმოჩნდა კოლექტიურ ნარცისიზმსა და შფოთვის შორის: $r(316) = .17$, $p < 0.01$ - კოლექტიური ნარცისიზმის განცდა დაკავშირებულია მომატებულ შფოთვისთან. ამასთან, ერთადერთი უარყოფითი, თუმცა სუსტი კავშირი იქნა ნაპოვნი სუბიექტურ მარტოობასა და კოლექტიურ ნარცისიზმს შორის ($r(316) = -.15$, $p < 0.05$), რაც გვამღევეს საშუალებას ვიფიქროთ, რომ კოლექტიური ნარცისიზმის სკალაზე მაღალი ქულები გარკვეულწილად უკავშირდება სუბიექტური მარტოობის შედარებით ნაკლებ აღქმას.

ცხრილი N3. კორელაციური ბადე შეთქმულებების თეორიების ზოგად რწმენას, შფოთვის, სუბიექტურ მარტოობასა და კოლექტიურ ნარცისიზმს შორის (N = 316)

ცვლადები	1	2	3	4
1. შეთქმულებების თეორიების მიმართ ზოგადი რწმენა	–			
2. კოლექტიური ნარცისიზმი	.30 **	–		
3. შფოთვა	.21 **	.17**	–	
4. სუბიექტური მარტოობა	.16 **	-.15*	.36**	–

* $p < .05$. ** $p < .01$.

შეთქმულებების თეორიების რწმენა – რეგრესიული ანალიზი

როგორც ნაშრომის დასაწყისშია აღნიშნული, კვლევის ერთ-ერთ ძირითად კითხვას წარმოადგენს ის, თუ როგორ წინასწარმეტყველებენ შფოთვის, სუბიექტური მარტოობისა და კოლექტიური ნარცისიზმის ცვლადები შეთქმულებების თეორიების მიმართ რწმენას. ამისთვის კვლევაში გამოყენებულ იქნა მარტივი წრიფივი მრავლობითი რეგრესია.

მოცემულ მოდელში შფოთვა, აღქმული სუბიექტური მარტოობა და კოლექტიური ნარცისიზმი პროგნოზირებენ შეთქმულებების თეორიების მიმართ რწმენის ვარიაციის 12.8%-ს, ($R^2=0.128$). მონაცემები სტატისტიკურად არსებითია და შეესაბამება მოდელს ($p<0.001$).

მოცემული მოდელის თანახმად აღმოჩნდა, რომ აღქმულ სუბიექტურ მარტოობასა და კოლექტიურ ნარცისიზმს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ დამოკიდებული ცვლადის ახსნაში, თუმცა აღმოჩნდა, რომ უფრო დიდი წონა აქვს კოლექტიურ ნარცისიზმს ($Beta=.29$), ვიდრე აღქმულ სუბიექტურ მარტოობას ($Beta=.17$). რაც შეეხება შფოთვას, მისი წინასწარმეტყველების უნარი შეთქმულებების თეორიების მიმართ რწმენისთვის სტატისტიკურად არარსებითი აღმოჩნდა.

ცხრილი N4. რეგრესიული ანალიზი-შეთქმულებების თეორიების ზოგადი რწმენის პროექტიორი ცვლადები (N = 316)

	Estimate	SE	95.0%-იანი სანდოობის ინტერვალი		β	p
			LL	UL		
შფოთვა	.082	.052	-.019	.184	.094	.112
კოლექტიური ნარცისიზმი	.273	.053	.169	.378	.292	.000*
სუბიექტური მარტოობა	.121	.042	.039	.203	.170	.004*

* $p<0.001$. ** $p<0.01$

დამატებით კონსპირაციის თეორიების რწმენაზე კოლექტიური ნარცისიზმისა და სუბიექტური მარტოობის გავლენის შესაფასებლად ჩატარდა იერარქიული რეგრესიული ანალიზი, რომლისთვისაც შემუშვდა ორი მოდელი, მხოლოდ კოლექტიური ნარცისიზმი ($b=.29$, $p<.001$) ხსნის კონსპირაციების თეორიების რწმენის 8%-ს, $R^2=.083$, $F(1,297)=27.87$, $p<.001$), ხოლო მეორე მოდელი, რომელშიც კოლექტიურ ნარცისიზმს დაემატა სუბიექტური მარტოობა, ხსნის დამოკიდებული ცვლადის ვარიაციის 10%-ს, $F(2,296)=18.17$, $p<.001$ (R square change= .024). კოლექტიური ნარცისიზმის გაკონტროლების შემთხვევაში სუბიექტური მარტოობა ხსნის კონსპირაციების თეორიების რწმენის ვარიაციის მხოლოდ 2%-ს. ამ ორ მოდელს შორის სტატისტიკურად არსებითი განსხვავებაა ($p<0.05$).

დისკუსია

სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე შეფასდა შფოთვის, კოლექტიური ნარცისიზმისა და სუბიექტური მარტოობის კავშირები როგორც ერთმანეთთან, ასევე კვლევის მთავარ დამოკიდებულ ცვლადთან – შეთქმულებების თეორიებისადმი ზოგად რწმენასთან. არსებობს განსაკუთრებული განსხვავებები გარკვეულ ჯგუფებში. ეს განსხვავებები არ გვხვდება სქესის, ასაკის, განათლებისა და ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით განსხვავებულ ჯგუფებში. არსებითი სხვაობები მხოლოდ ეკლესიურ და არაეკლესიურ პირებსა და პოლიტიკის მიმართ მაღალი, საშუალო და დაბალი ინტერესის მქონე ჯგუფებს შორის გამოვლინდა.

პოლიტიკის მიმართ ინტერესსა და შეთქმულებების თეორიების რწმენას შორის კავშირი

პოლიტიკის მიმართ მაღალი ინტერესის მქონე ჯგუფებში ყველაზე დაბალია შეთქმულებების თეორიებისადმი რწმენები, ვიდრე დანარჩენ ორ ჯგუფში. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ როგორც ლიტერატურის მიმოხილვაში იყო ნახსენები, კონსპირაციის თეორიებისადმი რწმენა იზრდება მაშინ, როდესაც ფაქტებს ახასიათებს ბუნდოვანება და ადამიანებს უჩნდებათ სიცხადის მოთხოვნილება. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პოლიტიკის მიმართ უფრო დაბალი ინტერესის მქონე ადამიანები ნაკლებს კითხულობენ, ეძებენ, ინტერესდებიან სამყაროში მიმდინარე სხვადასხვა მოვლენების პოლიტიკური განხილვებით, არ ადევნებენ თვალს ამ მოვლენების უკან მდგარ რეალურ ფაქტებსა და რიცხვებს, რაც მათში კიდევ უფრო ზრდის სიცხადის მოთხოვნილებას, რომლის დამაკმაყოფილებელ გზად ხშირად შეთქმულებების თეორიები სწორედ რომ ადაპტური მექანიზმია (Van Prooijen, 2020). აღსანიშნავია ისიც, რომ კონსპირაციის თეორიებისადმი ზოგადი რწმენის ამ კვლევაში გამოყენებულ ინსტრუმენტში

განსაკუთრებით დიდია პოლიტიკურ პროცესებთან/აქტორებთან დაკავშირებული დებულებები, რაც კიდევ უფრო ამყარებს ამ ჰიპოთეზას.

ეკლესიურობა და შეთქმულებების ზოგადი რწმენა

შეთქმულებების თეორიების მიმართ ზოგადი რწმენის უფრო მაღალი ხარისხი აღმოჩნდა ეკლესიურ პირებში, ვიდრე არაეკლესიურ პირებში. ამ მიგნების ანალიზისას აუცილებლად არის გასათვალისწინებელი ის ფაქტი, რომ კვლევების მიხედვით (Łowicki et al., 2022), ეკლესიურ რესპონდენტებში უფრო მაღალია დოგმატური აზროვნება, რაც გულისხმობს გარკვეული გამზადებული სცენარების, მორალური წესების მიღებას, ნაკლებად კრიტიკულ გააზრებასა და ე.წ. ბრმად ნდობას.

ასევე ამ შედეგებს მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ ეკლესიურ პირებში უფრო მაღალი აღმოჩნდა კოლექტიური ნარცისიზმი, რაც კიდევ ერთხელ ამყარებს ჰიპოთეზას იმის შესახებ, რომ კოლექტიური ნარცისიზმი პოზიტიურად კორელირებს შეთქმულებების თეორიების მიმართ რწმენასთან (Cichocka et al., 2016). თავის მხრივ, ეს კავშირიც იხსნება იმით, რომ ეკლესიურ პირებში დოგმატური აზროვნების სტილი ზოგადია და ის საკმაოდ ბევრი საკითხის შესახებ მსჯელობაში შესამჩნევია, სწორედ ეს განასხვავებს კოლექტიურ ნარცისებს მათგან, ვისაც საკუთარ ჯგუფთან (იქნება ეს რელიგიური, ეთნიკური, ეროვნული თუ სხვა) იდენტიფიკაციის ზომიერი, ჯანსაღი ფორმა აქვს.

ეკლესიურ და არაეკლესიურ პირებს შორის საინტერესო განსხვავება გამოვლინდა უცხოპლანეტელების მიმართ კონსპირაციების თეორიების ქვესაკალაზე, სადაც უფრო მაღალი ქულები ეკლესიურმა პირებმა დააფიქსირეს. ეს მოულოდნელი კავშირი შეიძლება აიხსნას იმით, რომ რელიგიური რწმენა არამიწიერი არსებობის, უხილავი ძალების მიმართ რწმენას გულისხმობს, რომელიც რეალურად მტკიცებულებების გარეშე მოწოდებული ფაქტების დაჯერებაზეა დაფუძნებული, შესაძლოა, აზროვნების ეს სტილი განსაზღვრავს იმასაც, რომ არამიწიერი არსებების (ამ კვლევის ფარგლებში – უცხოპლანეტელების) მიმართ არსებული თეორიებიც ეკლესიურ პირებში გავრცელებულია.

საბოლოოდ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რელიგია ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური მოთხოვნილების, განუსაზღვრელობის შემცირების დაკმაყოფილების ფორმას წარმოადგენს, რელიგია ადამიანს ეხმარება მოვლენების ახსნის სურვილით გამოწვეული შფოთვის შემცირებაში, სწორედ ეს მექანიზმი მუშაობს შეთქმულებების თეორიების რწმენის დროსაც, ამიტომ ეკლესიურ პირებში ყალბი ინფორმაციების, შედარებით ნაკლებად დასაბუთებული ფაქტების,

შეთქმულებების თეორიების მიმართ რწმენის ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე არაეკლესიურ პირებში, რასაც არაერთი კვლევა ადასტურებს (Bronstein et al., 2019) (Jasinskaja-Lahti & Jetten, 2019).

შეთქმულებების ზოგადი რწმენის პრედიქტორები

იერარქიული რეგრესიული ანალიზის საფუძველზე შესაძლოა, ვისაუბროთ დაშვებაზე, რომ კოლექტიური ნარცისიზმი ირიბად არის დაკავშირებული და ერთგვარ გამკლავების მექანიზმს წარმოადგენს სუბიექტურ მარტოობასა და შეთქმულებების თეორიების რწმენას შორის. კერძოდ, კოლექტიური ნარცისიზმისა და სუბიექტური მარტოობის უარყოფითი კავშირი გვანახებს, რომ შესაძლოა, ადამიანები კოლექტიური ნარცისიზმის საშუალებით და ჯგუფთან ძლიერი მიკუთვნებულობისა და იდენტიფიკაციის გზით ებრძოდნენ სუბიექტურ მარტოობას და მისით გამოწვეულ დისტრესს. თავის მხრივ, ჯგუფთან მიკუთვნებულობის განცდა და მისი აღმატებულობის რწმენა შეთქმულებების თეორიებს უფრო მისაღებს ხდის, რადგან შეთქმულებების თეორიების ნარატივიც, როგორც წესი, შინაარსობრივად ეხმიანება ჯგუფის აღმატებულობას და მის წინააღმდეგ გარედან მომართულ დაპირისპირების, შურის განცდას.

დადასტურებული ჰიპოთეზა კოლექტიური ნარცისიზმისა და კონსპირაციების რწმენას შორის სტატისტიკურად არსებითი კავშირის შესახებ შესაბამისია ამ კონსტრუქტების ურთიერთმიმართებაზე ჩატარებულ არაერთ კვლევასთან (Golec De Zavala et al., 2022).

აღქმული სუბიექტური მარტოობისა და შგოთვის კავშირი შეთქმულებების ზოგად რწმენასთან

როგორც აღვნიშნეთ, კოლექტიურ ნარცისიზმს სუბიექტურ მარტოობასთან ერთად უფრო მაღალი წინასწარმეტყველებითი უნარი აღმოაჩნდა კონსპირაციების რწმენისთვის, ეს შეიძლება ავხსნათ იმით, რომ რაც უფრო მარტოდ აღიქვამენ თავს ადამიანები, რაც უფრო იზოლირებულად გრძნობენ თავს სხვა ჯგუფისგან, მით უფრო იზრდება მათში სხვა ჯგუფებიდან მომავალი საფრთხის აღქმა და მათ მიმართ შიში. სწორედ ეს შიში და განუსაზღვრელობის აღქმა შეიძლება უბიძგებდეს მათ შეთქმულებების თეორიების დაჯერებისკენ. შეგვიძლია, ვიფიქროთ ისიც, რომ რადგან სუბიექტურ მარტოობასა და კოლექტიურ ნარცისიზმს შორის უარყოფითი კავშირია, იმ პირებში, ვისაც დაბალი აღქმული სუბიექტური მარტოობის განცდა აქვთ და, ამავდროულად, თავს რომელიმე ჯგუფთან აიდენტიფიცირებენ (კოლექტიური ნარცისიზმი ახასიათებთ), უფრო მეტად კრიტიკული აზროვნების

ნაკლებობა ახასიათებთ, რაც ჯგუფის წევრების უმრავლესობის მიერ გაზიარებული და გავრცელებული მოსაზრებების მარტივ მიღებასა და სიზუსტის გადამოწმების ნაკლებ მოტივაციას გულისხმობს (Rathje et al., 2023). თუ ეს მართებული მსჯელობაა, მაშინ ცხადი ხდება, თუ რატომ სწამთ კონსპირაციის თეორიების იმ ადამიანებს უფრო მეტად ვისაც სუბიექტური მარტოობის დაბალი და კოლექტიური ნარცისიზმის მაღალი დონე ახასიათებთ. თანაც, მთელი რიგი კვლევებისა მიუთითებს იმაზე, რომ შეთქმულებების თეორიების გავრცელების ერთ-ერთ ძირითად მოტივს სწორედ სოციუმისგან დადებითი უკუკავშირის მიღების სურვილი წარმოადგენს (Ren et al., 2023).

ამ კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ შფოთვა, როგორც მდგომარეობა, ნაკლებად არის დაკავშირებული კონსპირაციების თეორიების ზოგად რწმენასთან და მეტად სავარაუდოა, რომ კონკრეტული მოვლენებით გამოწვეული შფოთვა უკავშირდებოდეს ამ მოვლენასთან დაკავშირებულ შეთქმულებების თეორიებს, როგორცაა მაგალითად კოვიდ-პანდემია ან ომი (Zwar et al., 2022). თუმცა კვლევის შედეგების თანახმად, შფოთვა და სუბიექტური მარტოობა ერთმანეთთან კორელირებენ, რაც ასევე ერთ-ერთ ახსნას გვაძლევს, თუ რატომ უჩნდებათ ადამიანებს მარტოობის დაძლევის სურვილი და რატომ შეიძლება მიმართავდნენ ისინი ჯგუფთან მიკუთვნებულობას არაადეკვატური ფორმითაც კი, რაც ჯგუფის გადამტეხულად აღქმას გულისხმობს.

კვლევის ღირებულება

მოცემული ანალიზის მიხედვით, შეთქმულებების თეორიების ყველაზე ძლიერი დამოუკიდებელი პრედიქტორი კოლექტიური ნარცისიზმია, მას შემდეგ სუბიექტური მარტოობა მოსდევს. ამ ორი ცვლადის ურთიერთმიმართების სამუშაო ვერსიად კი, კვლევის შედეგების მიხედვით, შესაძლოა მიღებულ იქნეს შემდეგი მიმართება – სუბიექტური მარტოობა კოლექტიური ნარცისიზმის მიმართ მოწყვლადს ქმნის ინდივიდს, ხოლო კოლექტიური ნარცისიზმი შეთქმულებების თეორიების წინასწამრტყველების წინაპირობას წარმოადგენს. კვლევის შედეგები შესაძლოა გამოყენებული იქნეს შეთქმულებების თეორიების გავრცელებასთან ბრძოლის ინტერვენციების დაგეგმვისას, კერძოდ, სტრატეგიები რომელიც საზოგადოების წევრების მარტოობის, გარიყვის პრევენციას ემსახურება, შესაძლოა, ირიბად აღმოჩნდეს შეთქმულებების თეორიებთან ბრძოლის მექანიზმი იმ დაშვებით, რომ რაც უფრო ნაკლებად ექნებათ ადამიანებს ჯგუფთან იდენტიფიკაციის დანაკლისი, მით უფრო მოსალოდნელია, რომ ისინი ადეკვატურ სოციალურ კავშირებსა და ჯგუფურ დინამიკას შექმნიან, ვიდრე სოციალური დანაკლისის მქონე ინდივიდების ერთობა, რომლებსაც განსაკუთრებით ახასიათებთ ხოლმე, საკუთარი ჯგუფის არაადეკვატურად აღმატებულად შეფასება.

შეზღუდვები და რეკომენდაციები

კვლევის მთავარ შეზღუდვას წარმოადგენს კულტურული კონტექსტის გათვალისწინებლობა. მომავალში მსგავსი ტიპის კვლევებში შეთქმულებების თეორიების მიმართ ზოგადი რწმენის გაზომვასთან ერთად რეკომენდებულია უშუალოდ კულტურულ კონტექსტზე მორგებული კონკრეტული კონსპირაციული თეორიების საზომი ინსტრუმენტების გამოყენებაც და მისი შფოთვისთან კავშირის გაზომვა. გარდა შეთქმულებების თეორიების ინსტრუმენტისა, კონსპირაციული თეორიების არაადაპტირებული ინსტრუმენტის გამოყენებაც კვლევის შეზღუდვად შეგვიძლია განვიხილოთ, რადგან გარკვეული დებულებები უცხო ქვეყნის კულტურისთვის შეუსაბამო შეიძლება იყოს.

ასევე, კვლევის შეზღუდვად შეგვიძლია, თავად შერჩევის ჰომოგენურობა დავასახელოთ, განსაკუთრებით, სქესის მხრივ დარღვეული ბალანსი, ასევე, რესპონდენტების განათლების დონე, ეკონომიკური სტატუსი ჰეტეროგენულობის სიმცირით გამოირჩეოდა, რაც შედეგების რეპრეზენტატულობასა და განზოგადებას ეჭვქვეშ აყენებს. კვლევის რეპლიკაციის შემთხვევაში უფრო სასურველი იქნებოდა შფოთვის საზომი სხვა ინსტრუმენტის გამოყენება, რომელშიც კონკრეტულად გაურკვეველი სიტუაციების მიზეზით გამოწვეული შფოთვა იქნებოდა გაზომილი, რადგან მოცემულ ნაშრომში მხოლოდ შფოთვის, როგორც ზოგადი მდგომარეობის გაზომვა ინტერპრეტაციას ძალიან რთულს ხდის.

გამოყენებული ლიტერატურა

- Baerg MacDonald, K., & Schermer, J. A. (2023). Loneliness and narcissism. *Current Research in Behavioral Sciences*, 5, 100127. <https://doi.org/10.1016/j.crbeha.2023.100127>
- Barzilay, R., Moore, T. M., Greenberg, D. M., DiDomenico, G. E., Brown, L. A., White, L. K., Gur, R. C., & Gur, R. E. (2020). Resilience, COVID-19-related stress, anxiety and depression during the pandemic in a large population enriched for healthcare providers. *Translational Psychiatry*, 10(1), 291. <https://doi.org/10.1038/s41398-020-00982-4>
- Bronstein, M. V., Pennycook, G., Bear, A., Rand, D. G., & Cannon, T. D. (2019). Belief in fake news is associated with delusionality, dogmatism, religious fundamentalism, and reduced analytic thinking. *Journal of Applied Research in Memory and Cognition*, 8(1), 108–117. <https://doi.org/10.1037/h0101832>

- Brotherton, R., French, C. C., & Pickering, A. D. (2013). Measuring Belief in Conspiracy Theories: The Generic Conspiracist Beliefs Scale. *Frontiers in Psychology, 4*. <https://doi.org/10.3389/fpsyg.2013.00279>
- Butler, L. D., Koopman, C., & Zimbardo, P. G. (1995). The Psychological Impact of Viewing the Film “JFK”: Emotions, Beliefs, and Political Behavioral Intentions. *Political Psychology, 16*(2), 237. <https://doi.org/10.2307/3791831>
- Cichocka, A. (2016). Understanding defensive and secure in-group positivity: The role of collective narcissism. *European Review of Social Psychology, 27*(1), 283–317. <https://doi.org/10.1080/10463283.2016.1252530>
- Cichocka, A., Marchlewska, M., Golec De Zavala, A., & Olechowski, M. (2016). ‘They will not control us’: Ingroup positivity and belief in intergroup conspiracies. *British Journal of Psychology, 107*(3), 556–576. <https://doi.org/10.1111/bjop.12158>
- Clarke, S. (2002). Conspiracy Theories and Conspiracy Theorizing. *Philosophy of the Social Sciences, 32*(2), 131–150. <https://doi.org/10.1177/004931032002001>
- De Coninck, D., Frissen, T., Matthijs, K., d’Haenens, L., Lits, G., Champagne-Poirier, O., Carignan, M.-E., David, M. D., Pignard-Cheynel, N., Salerno, S., & Généreux, M. (2021). Beliefs in Conspiracy Theories and Misinformation About COVID-19: Comparative Perspectives on the Role of Anxiety, Depression and Exposure to and Trust in Information Sources. *Frontiers in Psychology, 12*, 646394. <https://doi.org/10.3389/fpsyg.2021.646394>
- De Zavala, A. G., Cichocka, A., Eidelson, R., & Jayawickreme, N. (2009). Collective narcissism and its social consequences. *Journal of Personality and Social Psychology, 97*(6), 1074–1096. <https://doi.org/10.1037/a0016904>
- Douglas, K. M., & Sutton, R. M. (2018). Why conspiracy theories matter: A social psychological analysis. *European Review of Social Psychology, 29*(1), 256–298. <https://doi.org/10.1080/10463283.2018.1537428>
- Douglas, K. M., Sutton, R. M., & Cichocka, A. (n.d.). *The Psychology of Conspiracy Theories*.
- Douglas, K. M., Uscinski, J. E., Sutton, R. M., Cichocka, A., Nefes, T., Ang, C. S., & Deravi, F. (2019). Understanding Conspiracy Theories. *Political Psychology, 40*(S1), 3–35. <https://doi.org/10.1111/pops.12568>
- Golec De Zavala, A., Bierwiazzonek, K., & Ciesielski, P. (2022). An interpretation of meta-analytical evidence for the link between collective narcissism and conspiracy theories. *Current Opinion in Psychology, 47*, 101360. <https://doi.org/10.1016/j.copsyc.2022.101360>
- Golec De Zavala, A., & Federico, C. M. (2018). Collective narcissism and the growth of conspiracy thinking over the course of the 2016 United States presidential election: A longitudinal analysis. *European Journal of Social Psychology, 48*(7), 1011–1018. <https://doi.org/10.1002/ejsp.2496>
- Green, R., & Douglas, K. M. (2018). Anxious attachment and belief in conspiracy theories. *Personality and Individual Differences, 125*, 30–37. <https://doi.org/10.1016/j.paid.2017.12.023>

- Grzesiak-Feldman, M. (2013). The Effect of High-Anxiety Situations on Conspiracy Thinking. *Current Psychology*, *32*(1), 100–118. <https://doi.org/10.1007/s12144-013-9165-6>
- Heiss, R., Gell, S., Röthlingshöfer, E., & Zoller, C. (2021). How threat perceptions relate to learning and conspiracy beliefs about COVID-19: Evidence from a panel study. *Personality and Individual Differences*, *175*, 110672. <https://doi.org/10.1016/j.paid.2021.110672>
- Hettich, N., Beutel, M. E., Ernst, M., Schliessler, C., Kampling, H., Kruse, J., & Braehler, E. (2022). Conspiracy endorsement and its associations with personality functioning, anxiety, loneliness, and sociodemographic characteristics during the COVID-19 pandemic in a representative sample of the German population. *PLOS ONE*, *17*(1), e0263301. <https://doi.org/10.1371/journal.pone.0263301>
- Hornsey, M. J., Bierwiazzonek, K., Sassenberg, K., & Douglas, K. M. (2022). Individual, intergroup and nation-level influences on belief in conspiracy theories. *Nature Reviews Psychology*, *2*(2), 85–97. <https://doi.org/10.1038/s44159-022-00133-0>
- Imhoff, R., & Bruder, M. (2014). Speaking (Un-)Truth to Power: Conspiracy Mentality as A Generalised Political Attitude. *European Journal of Personality*, *28*(1), 25–43. <https://doi.org/10.1002/per.1930>
- Imhoff, R., & Lamberty, P. K. (2017). Too special to be duped: Need for uniqueness motivates conspiracy beliefs. *European Journal of Social Psychology*, *47*(6), 724–734. <https://doi.org/10.1002/ejsp.2265>
- Inglehart, R. (n.d.). *2005-2006 WORLD VALUES SURVEY*.
- Jasinskaja-Lahti, I., & Jetten, J. (2019). Unpacking the relationship between religiosity and conspiracy beliefs in Australia. *British Journal of Social Psychology*, *58*(4), 938–954. <https://doi.org/10.1111/bjso.12314>
- Jolley, D., & Douglas, K. M. (2014). The social consequences of conspiracism: Exposure to conspiracy theories decreases intentions to engage in politics and to reduce one’s carbon footprint. *British Journal of Psychology*, *105*(1), 35–56. <https://doi.org/10.1111/bjop.12018>
- Jutzi, C. A., Willardt, R., Schmid, P. C., & Jonas, E. (2020). Between Conspiracy Beliefs, Ingroup Bias, and System Justification: How People Use Defense Strategies to Cope With the Threat of COVID-19. *Frontiers in Psychology*, *11*, 578586. <https://doi.org/10.3389/fpsyg.2020.578586>
- Krüppel, J., Yoon, D., & Mokros, A. (2023). Clarifying the link between anxiety and conspiracy beliefs: A cross-sectional study on the role of coping with stressors. *Personality and Individual Differences*, *202*, 111966. <https://doi.org/10.1016/j.paid.2022.111966>
- Leibovitz, T., Shamblaw, A. L., Rumas, R., & Best, M. W. (2021). COVID-19 conspiracy beliefs: Relations with anxiety, quality of life, and schemas. *Personality and Individual Differences*, *175*, 110704. <https://doi.org/10.1016/j.paid.2021.110704>
- Łowicki, P., Marchlewska, M., Molenda, Z., Karakula, A., & Szczepańska, D. (2022). Does religion predict coronavirus conspiracy beliefs? Centrality of religiosity, religious fundamentalism, and COVID-19 conspiracy beliefs. *Personality and Individual Differences*, *187*, 111413. <https://doi.org/10.1016/j.paid.2021.111413>

- Mao, J., Zeng, Z., Yang, S., Guo, Y., & Van Prooijen, J. (2023). Explaining the paradox of conspiracy theories and system-justifying beliefs from an intergroup perspective. *Political Psychology*, pops.12924. <https://doi.org/10.1111/pops.12924>
- Poon, K.-T., Chen, Z., & Wong, W.-Y. (2020). Beliefs in Conspiracy Theories Following Ostracism. *Personality and Social Psychology Bulletin*, 46(8), 1234–1246. <https://doi.org/10.1177/0146167219898944>
- Proulx, T., & Heine, S. J. (2010). The Frog in Kierkegaard’s Beer: Finding Meaning in the Threat-Compensation Literature: Meaning and Threat-Compensation. *Social and Personality Psychology Compass*, 4(10), 889–905. <https://doi.org/10.1111/j.1751-9004.2010.00304.x>
- Rathje, S., Roozenbeek, J., Van Bavel, J. J., & Van Der Linden, S. (2023). Accuracy and social motivations shape judgements of (mis)information. *Nature Human Behaviour*, 7(6), 892–903. <https://doi.org/10.1038/s41562-023-01540-w>
- Ren, Z. (Bella), Dimant, E., & Schweitzer, M. (2023). Beyond belief: How social engagement motives influence the spread of conspiracy theories. *Journal of Experimental Social Psychology*, 104, 104421. <https://doi.org/10.1016/j.jesp.2022.104421>
- Russell, D. W. (1996). UCLA Loneliness Scale (Version 3): Reliability, Validity, and Factor Structure. *Journal of Personality Assessment*, 66(1), 20–40. https://doi.org/10.1207/s15327752jpa6601_2
- Salari, N., Hosseinian-Far, A., Jalali, R., Vaisi-Raygani, A., Rasoulpoor, S., Mohammadi, M., Rasoulpoor, S., & Khaledi-Paveh, B. (2020). Prevalence of stress, anxiety, depression among the general population during the COVID-19 pandemic: A systematic review and meta-analysis. *Globalization and Health*, 16(1), 57. <https://doi.org/10.1186/s12992-020-00589-w>
- Sallam, M., Dababseh, D., Yaseen, A., Al-Haidar, A., Ababneh, N. A., Bakri, F. G., & Mahafzah, A. (2020). Conspiracy Beliefs Are Associated with Lower Knowledge and Higher Anxiety Levels Regarding COVID-19 among Students at the University of Jordan. *International Journal of Environmental Research and Public Health*, 17(14), 4915. <https://doi.org/10.3390/ijerph17144915>
- Šrol, J., Ballová Mikušková, E., & Čavojevová, V. (2021). When we are worried, what are we thinking? Anxiety, lack of control, and conspiracy beliefs amidst the COVID-19 pandemic. *Applied Cognitive Psychology*, 35(3), 720–729. <https://doi.org/10.1002/acp.3798>
- Sunstein, C. R., & Vermeule, A. (2009). Conspiracy Theories: Causes and Cures*. *Journal of Political Philosophy*, 17(2), 202–227. <https://doi.org/10.1111/j.1467-9760.2008.00325.x>
- Van Der Linden, S. (2015). The conspiracy-effect: Exposure to conspiracy theories (about global warming) decreases pro-social behavior and science acceptance. *Personality and Individual Differences*, 87, 171–173. <https://doi.org/10.1016/j.paid.2015.07.045>
- Van Prooijen, J.-W. (2020). An Existential Threat Model of Conspiracy Theories. *European Psychologist*, 25(1), 16–25. <https://doi.org/10.1027/1016-9040/a000381>

Van Prooijen, J.-W., & Douglas, K. M. (2017). Conspiracy theories as part of history: The role of societal crisis situations. *Memory Studies*, *10*(3), 323–333. <https://doi.org/10.1177/1750698017701615>

Zarocostas, J. (2020). How to fight an infodemic. *The Lancet*, *395*(10225), 676. [https://doi.org/10.1016/S0140-6736\(20\)30461-X](https://doi.org/10.1016/S0140-6736(20)30461-X)

Zwar, L., König, H.-H., & Hajek, A. (2022). Conspiracy mentality among informal caregivers as a risk factor for caregiver burden, mental health, perceived loneliness and social isolation during the COVID-19 pandemic: Findings of a representative online study from Germany. *Quality of Life Research*, *31*(11), 3139–3151. <https://doi.org/10.1007/s11136-022-03177-0>